პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 71 (4581)

1972 წ. 11 აპრილი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზიკური კულტურა — ყოველდღიურ ცხოვრებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის (მშდ)", რომელიც დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებით, ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემია საპროგრამო და ნორმატიული საფუძველია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების მორალური და სულიერი სახის ჩამოყალიბებას, მათს ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, მოსახლეობის მომზადებას მაღალნაყოფიერი შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის.

მშდ ახალი კომპლექსის მიღების საჭიროება განპირობებულია იმით, რომ 1939 წლის კომპლექსი, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის სისტემის შექმნისა და მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაშლაში, აღარ შეესაბამებოდა დროის გაზრდილ მოთხოვნებს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე.

ფიზკულტურას სუსტად იყენებენ მოსწავლეთა პროფესიული და სამხედრო-გამოყენებითი მომზადებისთვის, რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად არ ზრუნავენ მშრომელთა ფიზიკური აღზრდისთვის. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და დასვენების მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა კომპლექსში, რომელიც მშრომელთა ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი აქტივობის შენარჩუნების, პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის, მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ეწყობა, ძალზე ნაკლებად მიმართავენ ფიზიკური კულტურის საშუალებებს.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები ჯეროვან ინიციატივასა და სიმტკიცეს არ იჩენენ იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია ფიზკულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასთან როგორც წარმოებაში, ისე რესპუბლიკის ქალაქების და რაიონული ცენტრების საცხოვრებელ მასივებში.

იმ მიზნით, რომ საჭირო პირობები შეექმნას მშდ ახალი კომპლექსის წარმატებით შემოღებას, და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ განუხრელად იხელმძღვანელონ და შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის (მშდ)" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღების შესახებ".

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, საქართველოს პროფსაბჭო, რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მშდ ახალი კომპლექსის შემოღებისთვის, ამასთან მხედველობაში მიიღონ, რომ:

ფიზიკური კულტურა უნდა დაინერგოს მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რეგულარულად ჩააბან ფიზკულტურასა და სპორტში სხვადასხვა ასაკის ადამიანები, და მასობრივად განავითარონ სპორტი;

1972 წლის აპრილ-მაისში მოაწყონ რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული თათბირები და აქტივები მშდ ახალი კომპლექსის შემოღების საკითხებზე;

მოაწყონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებში და საცხოვრებელ ადგილებზე, რათა მოსახლეობა მოამზადონ მშდ ნორმების ჩასაბარებლად;

1972 წლიდან ყოველწლიურად მოაწყონ მასობრივი სპორტული ასპარეზობანი და სპარტაკიადები მშდ კომპლექსის ნორმების ჩასაბარებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ უზრუნველყონ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარება მშდ ახალი კომპლექსის საფუძველზე, მოამზადონ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, რომლებიც შეძლებენ მაღალნაყოფიერად შრომას და სოციალისტური სამშობლოს დაცვას.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომ რეგულარულ სამედიცინო კონტროლს უწევდნენ იმ მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობას, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობენ, ყველას, ვინც აბარებს მშდ კომპლექსის ნორმებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა უნდა მოაწყოს იმ პროპაგანდისტთა მოკლევადიანი სემინარები, რომლებიც მშრომელებს ფართოდ განუმარტავენ მშდ ახალი კომპლექსის საზოგადოებრივ და სახელმწიფო მნიშვნელობას; უზრუნველყოს საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობა მშდ ახალი კომპლექსის პროპაგანდაში.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხუთი გარდამავალი წითელი დროშა, რომლებითაც ყოველწლიურად დაჯილდოვდებიან რესპუბლიკის ქალაქები და რაიონები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებანი, სამინისტროები და უწყებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა უზრუნველყოს, რომ მასობრივი ტირაჟით გამოსცენ დებულებანი „საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შესახებ — მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ რესპუბლიკაში მშდ ახალი კომპლექსის შემოღებასა და ნიშნოსნების მოსამზადებლად დადგენილ დავალებათა შესრულებას. (საქინფორმი).

## ისევ ცსკა!

ვილნიუსი, 9 აპრილი. საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 88:70, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 92:55, „დინამო" (მოსკოვი) — „სტროიტელი" (კიევი) 82:80, ასკ (კიევი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) 79:55, „კალევი" (ტარტუ) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 74:59.

დღეს გაიმართა ჩემპიონატის მთავარი მატჩი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ შეინარჩუნა უმაღლესი წოდება: დაამარცხა თავისი ერთადერთი მოცილე — ლენინგრადის „სპარტაკი" — 81:58 (37:30).

ამრიგად, სსრ კავშირის XXXIX ჩემპიონატი დამთავრდა. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ: ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი" და კიევის ასკ (დაწვრილებითი ანგარიში ჩემპიონატის ბოლო მატჩებზე დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში. — რედ.).

**კალათბურთი**

## ახალი ამბები-72

● **ბაქო**, 9 აპრილი. აქ დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ნახევარფინალი, რომელშიც 14 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ე. მიქაელიანმა (თბილისი) და ო. ძიუბანმა (ყაზახეთი) — 9-9 ქულა. 8,5 ქულით III ადგილი დაიკავა ო. თურქესტანიშვილმა (თბილისი), რომელიც ფინალურ ტურნირში მონაწილეობის პირველი კანდიდატია.

● **კრასნოიარსკი**, 9 აპრილი. კრივში სსრ კავშირის თასი „სპარტაკის" გუნდმა მოიპოვა, რომელმაც დღეს ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 17:16 სძლია საბჭოთა არმიის ნაკრებს. მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლის წინ ანგარიში საყაიმო იყო. და აი, რინგზე სპარტაკელი ა. იზოსიმოვი და არმიელი ა. ვასიუშკინი გამოვიდნენ. მწვავე ბრძოლაში ქულებით გაიმარჯვა იზოსიმოვმა. ფინალის გზაზე სპარტაკელებმა დაამარცხეს „ბურევესტნიკი", პროფკავშირელი მოკრივეების პირველი ნაკრები და „შრომითი რეზერვები". ტურნირი ერთობ დაძაბული იყო. მარცხის სიმწარე ბევრმა ფავორიტმა იწვნია — სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონებმა ვ. ზაპოროჟეცმა, ნ. ხრომოვმა, ა. აბდრახმანოვმა, ა. იუოციავიჩუსმა, ვ. ჩერნიშოვმა, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონებმა ბ. კუზნეცოვმა, ვ. ტრეგუბოვმა...

● **მინსკი**, 9 აპრილი. ფიგურულ ციგურაობაში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატი დიდძალ მაყურებელს იზიდავს. შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს მოსკოველმა მოსწავლეებმა ი. ჩერნიაევამ და ვ. ბლაგოვმა, რომლებმაც წყვილთა სრიალში პირველად მოიხვეჭეს ქვეყნის ჩემპიონთა ოქროს მედლები — 415,5 ქულა (ადგილების ჯამი — 9). ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ ახალგაზრდა ლენინგრადელები ი. ვორობიოვა და ა. ვლასოვი — 402,0 (20), ხოლო ბრინჯაოს — ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი — 401,1 (26).

● **ოსტენი** (ტეხასის შტატი), 9 აპრილი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათსონმა (აშშ) აქ წარმატებით იასპარეზა ამერიკელ მძლეოსანთა ტრადიციულ „ტეხასის ესტაფეტებში" — 21,09 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ეს ამ 27 წლის გიგანტის (მათსონის სიმაღლეა 2 მ, ხოლო წონა — 120 კგ-ზე მეტი) მორიგი გამარჯვებაა — საუკეთესო შედეგია წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე.

● **მიშკოლცი** (უნგრეთი), 9 აპრილი. ვესპრემის „ბაკონთან" აქ წაგებული განმეორებითი ნახევარფინალური მატჩის (9:10) მიუხედავად, კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდა, ვინაიდან კიევში მასპინძლებმა უნგრელები უკეთესი სხვაობით დაამარცხეს — 14:5. კიეველებმა ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიპოვეს და ახლა ამ ხაპატიო პრიზისთვის ფინალში მესამედ იბრძოლებენ.

● **კანდალაქშა**, 9 აპრილი. სათხილამურო ზემარათონში — 70 კილომეტრზე რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ი. გარანინი (რუდნი) — 4:19.02. გამარჯვებულს 28 წამით ჩამორჩა ი. ჩარკოვსკი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი). III ადგილზეა კიროველი ვ. პოპოვი — 4:20.37. სტარტზე გამოსული 102 სპორტსმენიდან რბოლა 83 მოთხილამურემ დაამთავრა. ეს იყო წლევანდელი სათხილამურო სეზონის ბოლო შეჯიბრება.

● **ჰაიდენბაიმი** (გფრ), 9 აპრილი. მოსკოვის ცსკა-ს სპორტსმენებმა კვლავ მოიხვეჭეს ევროპის გუნდური თასი დაშნით ფარიკაობაში. ფინალურ მატჩში მათ ანგარიშით 9:6 აჯობეს გფრ-ის კლუბ „ფკ ტაუბერბიშოფსჰაიმს". მსოფლიო ჩემპიონმა გ. კრისმა (კიევი) და ვ. მოძოლევსკიმ (ვორონეჟი) 3-3 ორთაბრძოლა მოიგეს, ი. ვალეტოვმა (ალმა-ათა) ორჯერ გაიმარჯვა, ხოლო ს. პარამონოვმა (კიევი) — ერთხელ. III ადგილი დაიკავა გეტებორგის გუნდმა.

● **კრაკოვი**, 9 აპრილი. ევროპის უძლიერესი მოფარიკავეების ტრადიციული შეჯიბრება „ვოლოდიევსკის ხმალზე" კვლავ, უკვე მეშვიდედ მოიგო საბჭოთა გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ უნგრელები, III — პოლონელები. ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად უნგრელი პ. მაროში აღიარეს, რომელმაც 28 შეხვედრიდან 24 მოიგო. მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა 19-ჯერ გაიმარჯვა, ხოლო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, პოლონელმა ე. პავლოვსკიმ — 18-ჯერ.

● **დნეპროპეტროვსკი**, 9 აპრილი. ადგილობრივი „ავტომობილისტის" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა II ჯგუფის კოლექტივთა საკავშირო შეჯიბრებაში აჯობა ყველას და გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. პირველობისთვის ბრძოლაში დნეპროპეტროვსკელებმა თავიანთ მთავარ მეტოქეს — მოსკოვის „დინამოს" სძლიეს ანგარიშით 3:2.

● **ტარასა** (ესპანეთი), 9 აპრილი. „250-იანების" კლასში კიეველმა მოტოკროსმენმა ა. კიბირინმა მსოფლიო ჩემპიონატის აქ გამართულ პირველ ეტაპზე II ადგილი დაიკავა. საუკეთესო იყო ბელგიელი ს. გებოერსი. ჩემპიონატში 12 ქვეყნის 35 მრბოლელი მონაწილეობს. შეჯიბრების მეორე ეტაპი ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა საფრანგეთში.

ახალი ამბები-72



გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა 1971-72 სასწავლო წლის დამდეგს ახალი სამსართულიანი შენობა მიიღეს. ყოველმხრივ კეთილმოწყობილ სკოლას კარგი სპორტდარბაზიც აქვს. მოსწავლეები ჩაბმული არიან ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ჭადრაკისა და სხვა სექციებში. ჩვენი კორესპონდენტის გ. ჯაყელის ფოტოზე აღბეჭდილია მაგიდის ჩოგბურთში ვარჯიშის მომენტი.

სსრკ 50

# მეგობრობის მატიანე







მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების სპორტსმენთა სამატჩო შეხვედრებს საფუძველი 30-ან წლებში ჩაეყარა. პრესამ, ფოტო- და კინომატიანემ ბევრი ასეთი ღონისძიება აღნუსხა და შემოგვინახა. თბილისში ჩამოდიოდნენ სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები, რომელთა გამოსვლები პოპულარიზაციას უწევდა სპორტის ახალ სახეობებს, ხელს უწყობდა მათს მასობრიობას და, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

უკრაინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობას საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, განსაკუთრებით კი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ მათი მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

ტრადიციად იქცა ქართველ და უკრაინელ სპორტსმენთა სამატჩო შეხვედრებიც. თბილისის ხშირი სტუმრები იყვნენ უკრაინელი ფეხბურთელები, მოჭიდავეები, ძალოსნები, ტანმოვარჯიშეები, ჩოგბურთელები, მოჭადრაკეები, მძლეოსნები...

1940 წლის 27-30 ოქტომბერს თბილისში გაიმართა ამ ორი რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი. საქართველოს ეწვივნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მძლეოსნები, ჩემპიონები და რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. რაევსკი, ზ. სინიცკაია, კ. შილო, აგრეოვე, ე. ადამენკო, ვ. სიდორკო, პ. საველიევი, ნ. ბუიანოვა, ო. კრიუკოვსკი, ი. ანისიმოვი, ო. კოლომიიცევი...

ჭეშმარიტად ინტერნაციონალური იყო საქართველოს ნაკრები, რომელშიც ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიოდნენ რუსი, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნებათა სპორტსმენები. საკმარისია დავასახელოთ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის რეკორდსმენები ნ. დუმბაძე, ძმები ვ. და ბ. დიაჩკოვები, გ. ათანელოვი და სხვები. მატჩი თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ, წარსულში ცნობილმა მძლეოსანმა ა. ოჩიგავამ გახსნა. შედეგები იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი იყო. გთავაზობთ მათგან ზოგიერთს.

100 მეტრზე რბენა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის უკრაინელმა სპრინტერებმა ანისიმოვმა (10,9) და ადამენკომ (12,7) მოიგეს. მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. დუმბაძემ ბადრო 41,17 მეტრზე ტყორცნა. ათანელოვმა პირველობა არავის დაუთმო სიგრძეზე (688 სმ) და სიმაღლეზე (180) ხტომაში. ხელყუმბარის ტყორცნაში საკავშირო რეკორდი დაამყარა კიეველმა ნ. ვისტავკინმა.

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ჭოკით მხტომელებს შორის. ძმებმა დიაჩკოვებმა ვერ აჯობეს სსრ კავშირის ჩემპიონ რაევსკის, რომელიც 410 სმ სიმაღლეს გადაევლო.

ასპარეზობა სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მთავარი სპორტული შედეგები როდი იყო. გაიმარჯვა უკრაინელ და ქართველ სპორტსმენთა ძმობამ და სიყვარულმა.

ბ. ჩიკვაიძე.

* * *

სურათებზე: მონაწილეთა ალლუმი; ნ. დუმბაძე ასპარეზობისას; ჭოკით ხტება გ. რაევსკი.

გ. ალიევის ფოტორეპროდუქცია.

# ორი საფეხურით წინ

საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაციის პლენუმმა ძირითადად სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის სარბიელზე ამ სახეობის წარმომადგენელთა შედეგებზე იმსჯელა და სამერმისო ამოცანები დასახა. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის თავმჯდომარე დ. მარგალიტაძე.

მომხსენებელმა ილაპარაკა საქართველოში სასტენდო სროლის აღმავლობისთვის ფედერაციის მიერ გაწეულ შრომაზე, აღნიშნა, რა დახმარება გაუწია ფედერაციამ პროფსაბჭოს რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებაში, პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადისთვის გუნდის დაკომპლექტებაში, როგორ ზრუნავდა ნებაყოფლობით საზოგადოებებში ამ სახეობის სათანადოდ განვითარებისთვის.

საქართველოს სპორტსმენებმა საანგარიშო პერიოდში შვიდ საკავშირო ტურნირში იასპარეზეს და რამდენიმე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს, წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო შეჯიბრებებში როგორც სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ. ტ. ჟღენტმა („ლოკომოტივი"), რომელიც ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში შედიოდა, მრგვალ სტენდზე მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. განთიადელმა თ. მატოიანმა მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, სოხუმელმა კ. დარასელიამ („განთიადი") ქვეყნის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

დ. მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ სასპარტაკიადო ნაკრების შემადგენლობა დიდ სტარტამდე თითქმის წლით ადრე დადგინდა. მრგვალ სტენდზე მსროლელებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში ამ სახეობაში ჩვენს გუნდს ბოლო ადგილი ხვდა. ადგილიდან მსროლელებმა წინა სპარტაკიადასთან შედარებით (მაშინ ჩემპიონები გახდნენ) ახლა უკან დაიხიეს და IV ადგილზე აღმოჩნდნენ. ეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ კ. დარასელიას წარუმატებლობამ გამოიწვია (მან 200-დან 178 ქულით XXI ადგილი დაიკავა). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზ. მაჩხანელის („ლოკომოტივი") კარგი შედეგი რომ არა, გუნდი უფრო უკან დარჩებოდა. მაჩხანელი მით უფრო ქების ღირსია, რომ რესპუბლიკის მესტენდურეთა გუნდის მწვრთნელიც იყო და საზრუნავიც სხვაზე მეტი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თბილისელმა ოსტატმა პირად შეჯიბრებაში 187 ქულით IV ადგილი დაიკავა და საქართველოს სპორტული დელეგაციის ნადავლს 5 ქულა შემატა.

მრგვალ სტენდზე მსროლელებმა გუნდურ ჩათვლაში ამჯერად გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწიეს: III ადგილზე გავიდნენ. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ჟღენტმა, რომელმაც პირად ტურნირში 200-დან 195 ქულა მოაგროვა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. IV სპარტაკიადასთან შედარებით მატოიანიც წინ წავიდა: მაშინდელი 38-ე ადგილის მაგიერ ახლა 187 ქულით XVIII ადგილი დაიკავა, მაგრამ მისგან მაინც მეტს ველოდით.

ასეა თუ ისე, საქართველოს მესტენდურეებმა კომპლექსურ ჩათვლაში მეექვსედან IV ადგილზე გადაინაცვლეს. წინსვლა აშკარაა. თანაც, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ჟღენტი სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი გახდა.

მომხსენებელმა არც ის დაივიწყა, რომ ჩვენი სპორტსმენები სპარტაკიადის შემდეგ გამართულ საკავშირო ჩემპიონატშიც კარგად გამოვიდნენ (საერთო გუნდური III ადგილი).

დ. მარგალიტაძემ ილაპარაკა სპორტსაზოგადოებათა მუშაობაზე, თქვა რომ სასტენდო სროლა „კოლმეურნის", „ლოკომოტივის", „განთიადის", „ბურევესტნიკის", „დინამოს", არმიელ მონადირეთა საზოგადოების, მონკავშირის 63 კოლექტივშია დანერგილი. ამ სახეობაში 748 კაცი წვრთნის. მათგან 223 თანრიგოსანია. სადღეისოდ ჩვენს რესპუბლიკაში სულ 3 საერთაშორისო კლასის და 21 სპორტის ოსტატი, 28 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანია. მაგრამ ის კი დასანანია, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე სექციებში მომეცადინეთა რიცხვი 164 კაცით შემცირდა, მოქმედი სპორტის ოსტატებისა — 16, ხოლო ოსტატობის კანდიდატებისა და პირველთანრიგოსნებისა — 34 სპორტსმენით.

დ. მარგალიტაძემ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის წელს საქართველოში მომზადდა 2 სპორტის ოსტატი, 21 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, შარშან კი მხოლოდ 5 პირველთანრიგოსანი (!). მართალია, ამასაც ჰქონდა მიზეზი: ძირითადი მუშაობა სასპარტაკიადო ნაკრებთან ტარდებოდა, მაგრამ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს ეს ამბავი მაინც ვერ ამართლებთ.

სპორტსაზოგადოებათა უმეტესობაში სასტენდო სროლისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ისიც ადასტურებს, რომ რესპუბლიკის სასპარტაკიადო ნაკრებში მხოლოდ „ლოკომოტივისა" (2) და „განთიადის" (2) წარმომადგენლები იყვნენ, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე გუნდში კი აღნიშნული ორი საზოგადოების გარდა, ორი სპორტსმენი სამხედრო მონადირეთა საზოგადოებიდან გამოდიოდა.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო სხვა ნაკლოვანებათა მხილებასაც. მან თქვა, რომ აფხაზეთში, ქუთაისში და მახარაძეში პოზიციები დათმეს. სოხუმისა და მახარაძის სტენდები დაინგრა და მათს ადგილზე სანატორიუმი და საავადმყოფო ააგეს. მახარაძეში სამაგიერო სტენდის მშენებლობა დაიწყო, სოხუმში კი ამ საკითხის მოგვარებას საშველი არ დაადგა. აღინიშნა, რომ მოუგვარებელია სპორტსმენთა ინვენტარითა და ტყვია-წამლით მომარაგება, სტენდების თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვა. რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარება იმანაც შეაფერხა, რომ ბოლო წლებში ამ საქმეს მონკავშირი გულგრილად ეკიდებოდა. ახლა მონკავშირის რესპუბლიკურმა გამგეობამ მდგომარეობის გამოსწორებისთვის ზრუნვა დაიწყო და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე ეს უწყება კვლავინდებურად ძლიერ კოლექტივს შექმნის.

დ. მარგალიტაძემ გააკრიტიკა ფედერაციის მუშაობაც, აღნიშნა, რომ იგი აფხაზეთის, აჭარის, ქალაქებისა და რაიონების ფედერაციებს სათანადო კონტროლსა და დახმარებას ვერ უწევდა.

თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ აფხაზეთმა, აჭარამ, მახარაძემ, ზუგდიდმა და წალენჯიხამ პლენუმის მუშაობაში მონაწილეობისთვის თბილისში თავიანთი წარმომადგენლები არ გამოგზავნეს, ნათელი გახდება როგორ ზრუნავენ დასახელებულ ორგანიზაციებში სასტენდო სროლის განვითარებისთვის.

კამათში მონაწილეობდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჯ. მოწონელიძე, არმიელ მონადირეთა მწვრთნელი ლ. სიმონიანი, ქუთაისის წარმომადგენელი გ. იაშვილი, „მონკავშირის" რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ლ. გუნიავა, რომლებმაც ილაპარაკეს მწვრთნელთა საბჭოს, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის, ბაზების, ქუთაისისა და მონკავშირის გუნდების საქმიანობაზე.

მაჩხანელმა პლენუმს უამბო სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრების მზადებაზე, საექიმო კონტროლზე, აღმზრდელობით მუშაობაზე.

მოწონელიძემ შეკრებილთ მოაგონა, რომ საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკას 2 საკავშირო, 3 რესპუბლიკური და 12 პირველი კატეგორიის მსაჯი შეემატა, რომ მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმი ტურნირებში პერიფერიების წარმომადგენლებს ნაკლებად იყენებდა.

იაშვილმა ილაპარაკა ქუთაისის სტენდზე ჩატარებულ სამუშაოზე და აღნიშნა, რომ არსებული ბაზის მანქანა-დანადგარები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, აკლიათ ვაზნები. ქალაქში სასტენდო სროლის განვითარებას სპორტსაზოგადოებათა საბჭოები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ.

გუნიავამ ილაპარაკა მონკავშირის ღონისძიებებზე სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის, თქვა, რომ ბოლო უნდა მოეღოს მონკავშირში აღზრდილ მესტენდურეთა გადაბირებას.

პლენუმმა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის მიიღო დადგენილება.

მოეწყო არჩევნები. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ისევ დ. მარგალიტაძე აირჩიეს, პასუხისმგებელ მდივნად — ნ. ჯანაშია. მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია სპორტის ოსტატი შ. ჩახნაშვილი, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ჯ. მოწონელიძე.

## მოსკოვსა და კიროვსკში

**გუშინწინ**

თბილისელმა მოცურავემ თინათინ ლეკვეიშვილმა და ბაკურიანელმა „მფრინავმა თხილამურემ" კობა წაქაძემ წარმატებით იასპარეზეს: თინათინმა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციულ, XI ამხანაგურ მატჩში მოსკოვის ცსკა-ს საცურაო ბილიკზე ყველას აჯობა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.08,3), ხოლო ბაკურიანელმა სპორტსმენმა ვერცხლის მედალი მოიხვეჭა კიროვსკის 70-მეტრიან ტრამპლინზე გამართულ საკავშირო ჩემპიონატში.



სურათზე: კ. წაქაძე.

## [illegible]

**ცხაკაია**

აქ გაიმართა ბავშვთა სპორტსკოლების ზონალური შეჯიბრება ხელბურთელ ჭაბუკთა გუნდებს შორის. ცხაკაიელთა გარდა, ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მახარაძის, ხობისა, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის კოლექტივები. ცხაკაიელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვეს.

ე. გუგუნავა.




# ჩინებული დასაწყისი

ჩატარდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტულ ტანვარჯიშში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში (დანარჩენ სახეობებში ტურნირები ივლის-აგვისტოში გაიმართება).

ასპარეზობის სტარტი იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებისთვის. აი, რა უამბო ჩვენს კორესპონდენტ თ. გაჩეჩილაძეს საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. მეგრელიშვილმა.

— წლევანდელი სპარტაკიადა სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ეძღვნება. ფინალური ასპარეზობის ალამი ბელორუსიის დედაქალაქში აღიმართა, სადაც სპორტულ ტანვარჯიშში ჩატარდა შეჯიბრება. საქართველოდან სარბიელზე მხოლოდ ჭაბუკთა ნაკრები გამოვიდა. ჩვენი დელეგაციის წევრებიდან პირველი წარმატება ნ. ფაჩულიამ მოიპოვა. მან 100,3 ქულით II საპრიზო ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატების პროგრამით მოასპარეზეთა შორის. ოსტატთა შემსუბუქებული პროგრამით მესამე პრიზიორი გახდა ვ. თანდელოვი — 98,5. III ადგილზე გავიდა, აგრეთვე, ზ. კუპრაშვილი (ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით) — 104,49.

პირველთანრიგოსანთა პროგრამით მოასპარეზეებს გ. მერაბიანსა და თ. ფიფიას შესაბამისად II და III საპრიზო ადგილები ხვდათ.

თანდელოვმა ოქროს მედალი მოიგო ბჯენით ხტომებში — 19,245. ამ სახეობაში რვა უძლიერეს სპორტსმენს შორის საქართველოს კიდევ ორი წარმომადგენელი მოხვდა: კუპრაშვილი (V ადგილი — 18,655 ქულა) და ფაჩულია (VIII — 18,175). კუპრაშვილმა ძალიან კარგად შეასრულა თავისუფალი ვარჯიში და მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა — 18,23. ძელზე იგი მეექვსე იყო — 16,74. რგოლებზე ვარჯიშში VI ადგილზე გავიდა ფაჩულია — 17,765. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი მოსწავლეები III ადგილზე არიან.

ვოროშილოვგრადი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს მასპინძლობდა. ამ სახეობაში წლეულს პირველად დართეს ორ-ორი გუნდის გამოყვანის ნება რსფსრ-სა და უკრაინას. ამან უფრო გაამწვავა ბრძოლა, მით უმეტეს, რომ თითოეულ წონაში იშვიათად თუ გამოდიოდა 20-ზე ნაკლები სპორტსმენი. მაგრამ ჩვენმა ათლეტებმა აქაც გვასახელეს: ოქროს მედლის კავალერი გახდა ვ. იმერლიშვილი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს გ. ხარებავამ, თ. ლომიძემ და გ. ლობჟანიძემ, ბრინჯაოსი — ნ. ქათამაშვილმა.

საბოლოოდ გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო რსფსრ-ს ნაკრები. საქართველოს კოლექტივმა III ადგილი დაიკავა. ეს წარმატება მით უფრო სასიხარულოა, რომ წინა სპარტაკიადაში ჩვენები VIII ადგილზე გავიდნენ.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთაგან (ასპარეზობა კიშინიოვში ჩატარდა) ოქროს მედალი მოიგო ნ. მაჭარაშვილმა. ვერცხლი წილად ხვდათ ო. სანიკიძეს, თ. მეტივიშვილს და ო. სუხიშვილს. გუნდი III ადგილზეა.



# მოედანზე — მომავალი მუშები

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა საშუალო სპეციალური სასწავლებლების VII რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც ამას წინათ რუსთავში ჩატარდა.

კალათბურთელთა ტურნირი სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში გაიმართა. ასპარეზობის მონაწილენი ქვეჯგუფებად იყვნენ დაყოფილი. აქ გამარჯვებულნი ერთმანეთს ფინალში ხვდებოდნენ. ქალთა პირველ ქვეჯგუფში თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი იყო თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის ნაკრები. ჩემპიონის გამოსავლენად სწორედ ეს ორი კოლექტივი შეხვდა ერთმანეთს. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება (50:49) ხვდათ მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის კალათბურთელებს (მწვრთნელი ვ. თედოშვილი). III ადგილზეა ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმის კოლექტივი.

ვაჟთა შორის პირველ ქვეჯგუფში თბილისის ვაჭრობის ტექნიკუმის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი იყო ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის კოლექტივი. ფინალში ქუთაისელებმა (მწვრთნელი თ. ლომთაძე) დაამარცხეს თბილისელები — 68:66. III ადგილი დაიკავა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივმა.

**რ. გაბრიძე,**
**(ჩვენი კორ.).**

რუსთავი.

# დაწინაურდნენ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტები

პრაღა, 9 აპრილი. ჰოკეისტთა მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატის მეორე დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საპრიზო ადგილების ერთ-ერთმა პრეტენდენტმა — შვეციის ნაკრებმა ადვილად სძლია შვეიცარიელებს — 12:1. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა გფრ-ისა და ფინეთის გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 8:5 გაიმარჯვეს ფინელებმა.

დღეს გაიმართა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: ჩეხოსლოვაკია — შვეცია. მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 4:1 (2:0, 1:0, 1:1). ჩეხოსლოვაკიელთაგან შაიბები გაიტანეს ი. ჰოლიკმა (2), ჰაასმა და ნედომანსკიმ. ერთადერთი საპასუხო შაიბის ავტორია პალმკვისტი.

საბჭოთა ჰოკეისტებმა დიდი ანგარიშით მოუგეს ფინელებს — 10:2 (1:0, 6:2, 3:0). შაიბები გაიტანეს მიხაილოვმა (3), იაკუშევმა, ვიკულოვმა (2-2), ხარლამოვმა, სოლოდუხინმა და მალცევმა. ფინელთაგან თავი გამოიჩინა მონონენმა: მან ორჯერ აიღო საბჭოთა ნაკრების კარი.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 10 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 0 | 0 | 23—2 | 4 |
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 21—2 | 4 |
| შვეცია | 2 | 1 | 0 | 1 | 13—5 | 2 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 10—15 | 2 |
| გფრ | 2 | 0 | 0 | 2 | 5—19 | 0 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 0 | 2 | 2—31 | 0 |

# ორი ლიდერი

თბილისსა და ვოლგოგრადში, როგორც ცნობილია, დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის I ტურის მატჩები. ჩვენს დედაქალაქში წარმატებით იასპარეზეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის სპორტსმენებმა, რომლებმაც ოთხივე მატჩი მოიგეს და სათავეში ჩაუდგნენ გათამაშებას. ასევე კარგად გამოვიდა ვოლგოგრადში მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც გადამწყვეტ მატჩში თანაქალაქელ დინამოელებს შეხვდა. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთი რომ დარჩა, 2 ბურთის სხვაობით წინ იყო მოსკოვის „დინამო" — 5:3. სწორედ ამ მოკლე დროში სტუდენტებმა შეუძლებელი შეძლეს: ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (პუშკარიოვი, რომანჩუკი), ხოლო ბოლო წამებზე ნ. მშვენიერაძის ტყორცნა ზუსტი გამოდგა — 6:5. მოსკოველმა სტუდენტებმაც ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ ჩემპიონატს.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი | 4 | 4 | — | — | 24—15 | 8 |
| მოსკოვის უნივერსიტეტი | 4 | 4 | — | — | 22—16 | 8 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 3 | — | 1 | 19—17 | 6 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 19—16 | 5 |
| „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) | 4 | 2 | — | 2 | 15—15 | 4 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 2 | — | 2 | 17—18 | 4 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) | 4 | — | 2 | 2 | 14—16 | 2 |
| „ბალტიკა" (ლენინგრადი) | 4 | 1 | — | 3 | 18—23 | 2 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 4 | — | 1 | 3 | 12—19 | 1 |
| „დინამო" (ალმა-ათა) | 4 | — | — | 4 | 17—22 | 0 |

# გუნდები, გოლები, ქულები

8 აპრილს გაიმართა II ტურის მატჩები.

„კარპატი" — ცსკა 1:3.

არმიელებმა კარგად ჩაატარეს ეს შეხვედრა და გამარჯვება ფაქტიურად შესვენებამდე გაიფორმეს: 3 „მშრალი" ბურთი გაიტანეს პოლიკარპოვმა, დოლგოვმა და ფედოტოვმა. შესვენების შემდეგ თამაშის სიმწვავემ იკლო. „კარპატის" ერთ-ერთი იერიში საპასუხო გოლით დაამთავრა კოზინკევიჩმა.

„ზარია" — „სპარტაკი" 3:1.

ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს — თასის შარშანდელ მფლობელს სძლიეს. ანგარიში გახსნა ელისეევმა. ეს ბურთი მალე გაქვითა სპარტაკელმა კისელიოვმა, მაგრამ ელისეევმა კვლავ დააწინაურა „ზარია", ონიშჩენკომ კი წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს.

ასკ (როსტოვი) — „დინამო" (კიევი) 0:2.

ამ თამაშში თავი გამოიჩინა კიეველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბიშოვეცმა, რომელმაც ორივე გოლი გაიტანა.

„არარატი" — „ლოკომოტივი" 0:1.

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ლოკომოტიველებს, 85-ე წუთზე გაიტანა ზუდინმა.

„ყაირათი" — „დინამო" (მინსკი) 0:0.

„ნეფთჩი" — „ტორპედო" 1:0.

ბაქოელებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება იზეიმეს. ტორპედოელებთან შეხვედრაში გოლი მეტოქის კარში 77-ე წუთზე გაიტანა ლიოგკიმ.

„დნეპრი" — „ზენიტი" 3:3.

ამ უხვგოლიან მატჩში მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ლიაბიკმა (2) და რომანიუკმა, ხოლო სტუმართაგან — სადირინმა, ხრომჩენკომ და ზინჩენკომ.

**უმაღლესი ლიგა**

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ჩემპიონები, [illegible], ლიდერები**

### ინგლისი

გასულ შაბათს შეფილდში ადგილობრივი „შეფილდ იუნაიტედი" ჩემპიონატის ახალ ლიდერს „დერბი ქაუნთის" შეხვდა. სტუმრებმა 4 „მშრალი" გოლი გაიტანეს მასპინძელთა კარში და მოწინავე პოზიცია განიმტკიცეს.

„ლივერპულმა", რომელიც უკვე 14 ტურის განმავლობაში წაუგებლად თამაშობს, შინ მოუგო „კოვენტრი-სიტის" — 3:1.

„მანჩესტერ-სიტის" თავდამსხმელებმა ლიმ, ბელმა და სამერბიმ 3 გოლი გაიტანეს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის" კარში — 3:1.

„სტოკ-სიტი" შინ დამარცხდა „ლიდს იუნაიტედთან" — 0:3. მეორე ტაიმში მინდვრიდან საკაცით გაიტანეს მძიმედ დაშავებული ინგლისის ნაკრებისა და „ლიდს იუნაიტედის" მცველი კუპერი.

„ლეისტერ-სიტიმ" შინ მოუგო „მანჩესტერ იუნაიტედს", რომელმაც IX ადგილზე გადაინაცვლა.

საუკეთესო სნაიპერია ფ. ლი („მანჩესტერ-სიტი") — 33 გოლი. მ. ჩივერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური") 29 გოლით II ადგილზეა.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „დერბი ქაუნთი" | 38 | 66:31 | 54 |
| „ლივერპული" | 38 | 60:29 | 52 |
| „მანჩესტერ-სიტი" | 38 | 70:41 | 52 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 37 | 66:27 | 51 |

### შოტლანდია

გათამაშების მორიგ ტურში „კილმარნოკმა" შინ წააგო გლაზგოს „სელტიკთან", თუმცა პირველი ბურთი გლაზგოელთა კარში გავიდა. შესვენების შემდეგ გლაზგოელებმა დინსმა, დევიდსონმა და ლენოქსმა თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს — 3:1. თუ „სელტიკი" შემდეგ ტურში კიდევ ორ ქულას მოიპოვებს, ჩემპიონის ტიტული წლეულსაც მას დარჩება.

„აბერდინმა" შინ გაანადგურა „ისტ იუნაიტედი" — 7:0. მას ოდნავ „ჩამორჩა" ედინბურგის „ჰიბერნიენი", რომელმაც შინ დაამარცხა „სენტ-ჯონსტონი" — 7:1.

„გლაზგო რეინჯერსმა" გასვლით შეხვედრაში „პარტიკ თისტლთან" ფრეს მიაღწია — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი" | 29 | 83:21 | 53 |
| „აბერდინი" | 30 | 79:24 | 46 |
| „გლაზგო რეინჯერსი" | 29 | 60:28 | 40 |

(საქ. ინფ.).

# აჩქარებულან...

რედაქციაში დარეკეს: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაზე გვიწვევდნენ.

„ლელოს" მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ ამ რამდენიმე წლის უკან ქარხნის სტადიონზე საწარმოს ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყო. ახლა მოედნის გადარჩენილ ნახევარსღა იყენებენ შევიწროებული სპორტსმენები. კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც იქ იყო დანიშნული.

პატარა ალმებით გამოყოფილი მძლეოსნური სექტორები, ნორმატივების ჩაბარების ადგილის მიმნიშნებელი აბრები, სპორტკლუბის მუშაკებისა და ნორმატივების მიმღები კომისიის ფუსფუსი ერთი შეხედვით საზეიმო განწყობილებას ქმნიდა. მაგრამ ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა ვ. კოლესნიკომ საასპარეზოდ მოსულთა მწყობრი რომ გათვალა, ყველაფერი გაუფერულდა: მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან, რომელიც სპორტული კლუბის საპატიო სახელს ატარებს, ნორმატივების ჩასაბარებლად მოვიდა მხოლოდ... 50 მსურველი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმეტესობას აშკარად ეტყობოდა მოუმზადებლობა. სხვა რომ არაფერი, ხელყუმბარის ტყორცნისა და ბირთვის კვრის ელემენტარული წესებიც არ იცოდნენ.

სერიოზულ საქმეში ფაციფუცი არვარგა. ჩარხმშენებელთა მრავალრიცხოვან კოლექტივში, როგორც ჩანს, მშდ ახალი კომპლექსის პროპაგანდას სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან. კომპლექსის მნიშვნელობის ამხსნელი პლაკატები და ლოზუნგები, ნორმატივების სტენდები სპორტულ ბაზებზეც ვერ ვნახეთ. ნორმატივების ჩამბარებელთა შორის არც ერთი ქალი არ ყოფილა...

და მაინც რამდენიმე კაცმა გამოიჩინა თავი. ხელყუმბარის ტყორცნაში უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს სპორტის ოსტატებმა ვ. პავლოვმა, ჯ. ლომიძემ და ჯ. კალანდაძემ. წარმატებით იასპარეზეს, აგრეთვე, უფროსმა ინჟინერმა ა. რომანეცმა და მე-5 საამქროს ხარატმა ზ. თოდუამ (ეს უკანასკნელი ბირთვის კვრაშიც უძლიერესი იყო). თოდუას კოლეგამ ამავე საამქროდან ვ. პერგუნოვმა და ამომკვეთელმა ვ. ელიზაროვმა შესაბამისად 160 და 155 სმ სიმაღლე დაძლიეს და ჩათვლა სათანრიგო ნორმატივით ჩააბარეს.



**თ. გაჩეჩილაძე.**







როგორც ვიუწყებოდით, თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, ჩატარდა საქართველოს პირველობა კალათბურთში. ზედა სურათებზე თქვენ ხედავთ ამ შეჯიბრების მომენტებს.

• • •

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში მზარდ ოსტატობას ავლენს ახალგაზრდა ნიჭიერი თავდამსხმელი ვ. გუცაევი.

სურათზე: მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატის ამახწინანდელ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივთან" ვ. გუცაევს ჰქონდა მომენტი, როცა იგი პირისპირ აღმოჩნდა მეკარე ზ. მილესთან. ეს ორთაბრძოლა მეკარის სასარგებლოდ დამთავრდა.

ი. იუნაევისა და მ. ზარგარიანის ფოტოსურათები.

# ჩვენი გუნდი პირველია

დონეცკში დამთავრდა „დინამოს" ჭაბუკ მოჭიდავეთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 170 ათლეტი გამოვიდა.

წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოჭიდავეებმა, რომელთაც გუნდური პირველობა დაისაკუთრეს, რსფსრ-სა და უკრაინის ძლიერი კოლექტივები ჩამოიტოვეს.

ჩვენი რესპუბლიკიდან ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ თბილისელი ნ. ჯაფაროვი (45 კგ) და სოხუმელი დ. არქანია (70 კგ). III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს თბილისელებმა შ. ბერიძემ (48 კგ), გ. ბენდიანიშვილმა (81 კგ) და ზ. ჰელიძემ (87 კგ).

გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის „დინამოს" საჭიდაო სექციის უფროს მწვრთნელს, წარსულში ცნობილ მოჭიდავეს გ. არსენიანს.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

# ზრუნვას არ აკლებენ

თბილისის ახალგაზრდა სამბისტთა პირად-გუნდურ პირველობაში 6 ნაკრები კოლექტივი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა „დინამომ". II ადგილზეა „ბურევესტნიკი", III — „სპარტაკი".

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: გ. კვრიჭიშვილმა („ბურევესტნიკი"), ა. მორჩილაძემ („დინამო"), ა. ხუციშვილმა (ასკ), ვ. კარიაულმა („სპარტაკი"), ვ. კბილაშვილმა, თ. ხუციშვილმა (ორივე — „დინამო"), ა. დილმელაშვილმა (ასკ), გ. ბაგაშვილმა („დინამო"), ა. ბერძულმა, მ. ფერაძემ (ორივე — „ბურევესტნიკი").

ტურნირმა ცხადყო, რომ დედაქალაქის ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება სამბოს. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ სპორტსაზოგადოებების მესვეურები ზრუნვას არ აკლებენ ნორჩ სპორტსმენებს. ნაყოფიერად შრომობენ მწვრთნელებიც.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული სამბისტები. მათ შორის, პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ლ. ჯულაშვილი („ბურევესტნიკი"), ვ. კარიაული, თ. ხუციშვილი, ო. ყურაშვილი („დინამო").

ქ. ნინიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# პინეგინის სწრაფი „სოლინგი"

იერი, 10 აპრილი. იფროსანთა აქ მიმდინარე წინაოლიმპიურ რეგატაში თავი გამოიჩინეს საბჭოთა სპორტსმენებმა, მოსკოველმა არმიელებმა — 1960 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა „ვარსკვლავის" კლასში ტ. პინეგინმა, ვ. ზამოტაიკინმა და რ. გალიმოვმა. მათ I ადგილი დაისაკუთრეს ახალი ოლიმპიური კლასის „სოლინგის" ნავით.

საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში კიდევ ორი მაღალი ადგილი დაიკავეს: 26 წლის მოსკოველის ა. ბალაშოვის ნავმა 122 „ფინი" ჩამოიტოვა. შედეგად იგი მესამე იყო. წინ გაუშვა მხოლოდ ფრანგი ს. მური და ინგლისელი მ. სმითი. III ადგილი ხვდათ კიევლებს ვ. მანკინსა და ვ. დირდირას „ტემპესტის" კლასში. საინტერესოა, რომ მანკინიც უწინ „ფინის" კლასში გამოდიოდა და მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა.

„ურჩხულის" კლასში უძლიერესი იყო შვედების ეკიპაჟი ძმების — იორგენ, პეტერ და ულფ სუნდელინების შემადგენლობით. უ. ლიბერმა ყველას აჯობა „მფრინავი ჰოლანდიელით".

ოლიმპიური კლასებიდან ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ მხოლოდ „ვარსკვლავის" ოსტატები.

# ორივე იარაღზე — II ადგილი

ვინიპეგი, 10 აპრილი. მოსკოველი ვ. ვასინი და ვოლგოგრადელი ვ. კაპირულინი წარმატებით გამოვიდნენ კანადის ამ ქალაქში გამართულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. მათ II ადგილები დაიკავეს შესაბამისად ტრამპლინიდან (531,51 ქულა) და კოშკიდან (444,78) ხტომაში. ორივე იარაღზე გაიმარჯვა მ. ფინერანმა (აშშ) — 541,14 და 445,41.

სარატოველი ნ. მიხაილინი, რომელიც კოშკიდან ხტომაში მონაწილეობდა, მერვე იყო — 393,35.

ქალებში საუკეთესო აღმოჩნდა კანადელი ბ. ბოიზი (ტრამპლინი) 409,41 და 16 წლის შვედი სპორტსმენი უ. კნაპე (კოშკი)—372,96. ამ უკანასკნელმა ჩამოიტოვა ბოიზი (355,23) და ოლიმპიური ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი მ. დუხკოვა (353,19).

**რედაქტორი მ. ბაკაბაძე.**

## რეკორდები

ოსტინი (ტეხასის შტატი), 9 აპრილი. ამერიკელ მძლეოსანთა ტრადიციულ „ტეხასის ესტაფეტებში" მოასპარეზე 23 წლის ჩ. იზაქსონმა (შვეცია) მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 551 სმ. ეს შედეგი 2 სანტიმეტრით აღემატება ბერძენი ხ. პაპანიკოლაუს ძველ მიღწევას.

იზაქსონს ეკუთვნის დახურული დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევაც (545 სმ.). ეს რეკორდი მან თებერვლის დამლევს ასევე ამერიკაში ასპარეზობისას, ნიუ-იორკის დარბაზში დაამყარა.

მოსკოვი, 9 აპრილი. სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა დღეს აქ დამთავრებული მატჩი საკმაოდ ბევრი ეროვნული რეკორდით აღინიშნა (შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება. — **რედ.**). გუშინ 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მსოფლიო რეკორდის (56,6) დამყარების შემდეგ გერმანელმა რ. მათესმა დღეს თავისივე მიღწევა დაამხო — 4×100 მეტრზე კომბინირებული ესტაფეტის დროს მან პირველი ეტაპი უფრო სწრაფად — 56,3 წამში გაცურა. ამ ორი ქვეყნის მოცურავეთა XI მატჩი სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა — 184:160.

## რესპუბლიკის სპორტული ქრონიკა

### ✦ რუსთავი

დამთავრდა მოსწავლეთა XX საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთელ ჭაბუკთა შორის პირველობა მოიპოვეს მე-3 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა, გოგონებში — მეცხრესკოლელებმა. კალათბურთელ ჭაბუკთა შეჯიბრებაში იმარჯვა სკოლა-ინტერნატის გუნდმა, გოგონებში კი ყველას აჯობა მე-10 სკოლის ნაკრებმა.

რ. გაბრიჭიძე.

### ✦ ზუგდიდი

ენგურჰესის მშენებლებმა გამართეს შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჭადრაკში გუნდური პირველობა მშენებლობის სამმართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს. შაშში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ჯვარაბმშენის სამმართველოს, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ჰიდროსპეცმშენის სამმართველოს სპორტსმენები.

კ. ფიფია.

◆ ჰააგა, 10 აპრილი. ორი მაღალი შედეგი, რომლებიც მსოფლიო მიღწევებს აღემატება, იქნა ნაჩვენები ჰოლანდიის მოცურავეთა ჩემპიონატში: 15 წლის ანკე რეინდერსმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით 2.04,6, ხოლო ანემარია გროენმა გულაღმა ცურვაში 2.21,4 აჩვენა. მაგრამ ეს შედეგები მსოფლიო რეკორდებად არ დამტკიცდება, ვინაიდან შეჯიბრება 25-მეტრიან აუზში ჩაიშარდა.

◆ მონტ-სენტ-ენი, 10 აპრილი. კანადის ამ პატარა ქალაქში, საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონმა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში, იაპონელმა ი. კასაიამ I ადგილი დაიკავა — 224,8 ქულა დააგროვა (ნახტომები — 58,5 და 58 მ). მან საგრძნობლად ჩამოიტოვა ხუთი ქვეყნის „მფრინავი მოთხილამურეები" — აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილენი.

◆ *პეტრიჩი (ბულგარეთი), 10 აპრილი. ოლიმპიურ წელიწადს ღიაცის ქვეშ პირველად მოასპარეზე ვასილკა სტოევამ 59,58 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ამ 32 წლის მძლეოსანმა თითქმის 3 მ წაუმატა თავისივე ეროვნულ რეკორდს. ბულგარელის შედეგი მეორეა წლეულს მსოფლიოში.*

## ლიდერებში...

ტაშკენტი, 9 აპრილი. უზბეკეთის დედაქალაქის მახლობლად მდებარე კოლმეურნეობა „პოლიტოტდელში" გრძელდება სოფლის მოშაშე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლაზარენკო (გორკი) — 4,5 ქულა, თ. გამხიტაშვილი (თბილისი), აგაფონოვა (მოსკოვი), სინიგინა — 4-4.

სათამაშო ხუთი ტურიღა დარჩა.

ვ. ნინუა.
(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

**შ ა შ ი**

# ზუსტი მსროლელები

ორ კვირას გაგრძელდა აბაშის რაიონის პირად-გუნდური პირველობა 14-16 წლის სპორტსმენთა შორის პნევმატური შაშხანით სროლაში.

შეჯიბრება ორ ტურად ჩატარდა. პირველი ტური დოსააფის პირველადს ორგანიზაციებში მოეწყო. ცეცხლის ხაზზე 500-ზე მეტი მსროლელი გამოვიდა.

ფინალურ ასპარეზობაში (II ტური) საშუალო სკოლების წარმომადგენელთა შორის ყველას აჯობეს აბაშის 1-ლი სკოლის მსროლელებმა, II ადგილი წილად ხვდათ სუჯუნის სკოლის გუნდს, III — ნაესაკოოს სკოლის მსროლელებს. 8-წლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს საგვაზოელებმა. II ადგილი მოიპოვეს აბაშისპირის, III — გაუწყინარის სკოლის მოსწავლეებმა.

პირად პირველობაში I ადგილი დაიკავა ა. ჯინორიამ (სუჯუნის საშუალო სკოლა).

აბაშა.

რ. ჟანტურია.
(ჩვენი კორ.).




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.